

**ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ**
**ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

19 აგვისტო

13:00

*შტამპის ადგილი*

**ᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲚᲔ:** *შენიშვნა-1*

| | | |
|---|---|---|
| ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი | 204569617 | თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №3 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2* |

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0322921514 | 0322921514 | | | ვებ-გვერდი www.idfi.ge და www.opendata.ge, ელექტრონული მისამართი info@idfi.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**ᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ:** *შენიშვნა-4*

| | | |
|---|---|---|
| თათია ელიაძე (ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტ - საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის იურისტი) | 33001020414 | თბილისი ტ. ტაბიძის №43, ბ№17 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №3 | ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №3 |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0322224841 | 0322921514 | 599783606 | | t.eliadze@idfi.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲔ:** *შენიშვნა-5*

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | | ქ. თბილისი, გორგასლის №16 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალტერნატიული მისამართი | | | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი | |
| | 032 2 261 289 | | | www.mof.ge; |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-7*

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკატერინე ყაველაშვილი-ბრეგვაძე | +995 32 2 261 289 | | E.Kavelashvili@mof.ge |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-8*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

....

# ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲘᲐ

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი　　　　პირადი ნომერი　　　　ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი　　　　სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.　　　　სამსახურის ტელ.　　　　მობილური　　　　ფაქსი　　　　ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-10*

# ᲓᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ

*შენიშვნა-11*

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე - ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

*შენიშვნა-12*

# ᲓᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

*შენიშვნა-13*

2014 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (შემდგომში - ინსტიტუტი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში- სამინისტრო) №14-016 წერილით (იხ. დანართი 1, 2 ფურცლად) მოსთხოვა საჯარო ინფორმაციის მიღება რამდენიმე საკითხზე (კითხვები მოცემულია №1 დანართში). სამინისტრომ ინსტიტუტს 2014 წლის 5 მარტს მიწერა წერილი (იხ. დანართი №2, 10 ფურცლად), რომლითაც არ გასცა საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით, რითაც დაარღვია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათალისწინებული ნორმები.

საჯარო ინფორმაციის გაცემა მოთხოვნილია სრულყოფილი სახით, რაც გულისხმობს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ორგანოს მიერ სრულყოფილი პასუხის გაცემის ვალდებულებას, ვინაიდან ხსენებული მოთხოვნა არ შეიცავს სზაკ-ით გათვალისწინებულ საიდუმლო ინფორმაციას და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიჩნეული არის საჯარო ინფორმაციად.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ არის კლასიფიცირებული, სრულყოფილი და ზუსტი. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის დიდი ნაწილი არ არის წარმოდგენილი იმ სახით, რომელსაც ითხოვდა ინსტიტუტი. ცალკეული ხარჯვითი კატეგორიების კრებსითი მაჩვენებელი წარმოადგენს უზოგადეს, არაკლასიფიცირებულ ინფორმაციას, რომელიც ორგანიზაციის მიერ ვერ გახდება ცალკეულ პროექტთა ფარგლებში განსახორციელებელი თვისობრივი და ხარისხობრივი კვლევის წყარო. ის ფაქტი, რომ ინფორმაცია კონკრეტული დოკუმენტის სახით შესაძლოა არ არსებობდეს და გაბნეული იყოს დიდი მოცულობისა და რაოდენობის დოკუმენტებში, არ შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაინტერესებულ პირს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი, რომელშიც გაბნეულია მისთვის საინტერესო ინფორმაცია. მოცემულზე არსებული დოქტრინალური, თუ სასამართლო

პრაქტიკა ამკვიდრებს ერთიან სტანდარტს- გამჭვირვალე და ღია საჯარო ადმინისტრირების განხორციელების მიზანს, რომელშიც ანგარიშვალდებულობისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმები ისეა ინკორპორირებული, რომ იგი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს განახორციელონ შეფასება და მონიტორინგი.

განსაკუთრებით საგულისხმოა მოთხოვნა მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილებთან მიმართებაში, რაც არ მოგვეწოდა წერილში მითითებული არგუმენტით, რომ: „მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას“,- ჩვენთვის გაუგებარია რა საკანონმდებლო საფუძველზე ამყარებს თავის უარს ადმინისტრაციული ორგანო, რამდენადაც მოთხოვნა დაფუძნებულია სზაკ-ის დეფინირებულ განმარტებაზე, რომ - „მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“ საჯაროა.

2014 წლის 17 მარტს ინსტიტუტმა ადმინისტრაციული საჩივრით (იხ. დანართი №3, 8 ფურცლად) მიმართა სამინისტროს, ხოლო 2014 წლის 28 მარტს სამინისტროს 08-02/20572 პასუხით (დანართი №4, 10 ფურცლად) ინსტიტუტს ეცნობა, რომ უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, რამდენადაც დავა სასამართლოს განსჯადია. აღნიშნულის შემდეგ, ინსტიტუტს სარჩელი შეაქვს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში და ითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, ქმედების განხორციელებას საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით (რაც დანართი №1-ში არის მოცემული). მიგვაჩნია, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ფუნქციების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის ფაქტი, რაზეც დაფუძნებულია ჩვენი სამართლებრივი მოთხოვნის უფლება

....

# ᲓᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

*შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16*

1. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი 2014 წლის 27 იანვრის #01/14-016 წერილი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით.

მტკიცებულება:

ა. (დანართი №1, 2 ფურცლად )

2. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13298 კორესპონდენცია რომლითაც არასრულყოფილად იქნა მოწოდებული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მტკიცებულება:

ა. (დანართი №2, 10 ფურცლად)

3. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2014 წლის 17 მარტს გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივარი.

მტკიცებულება:

ა. (დანართი №3, 8 ფურცლად )

4. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის წერილი, რომლითაც ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ისნტიტუტის საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

მტკიცებულება:

ა. (დანართი №4, 10 ფურცლად)

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

....

## სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

*შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19*

1. სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით იმ საკითხებზე, რომელიც აღნიშნულ საჯარო დაწესებულებას ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვარს გაგზავნილი წერილით 1/14-016 მოეთხოვა. საჯარო ინფორმაციის გაცემა მოთხოვნილია სრულყოფილი სახით, რაც გულისხმობს ზემოთმოყვანილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თითოეულ პუნქტზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილი პასუხების გაცემას, ვინაიდან არცერთი ხსენებული მოთხოვნა არ შეიცავს სზაკ-ით გათვალისწინებულ საიდუმლო ინფორმაციას ანუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს, და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მიჩნეულნი არიან ღია საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარებიან გაცემას. (იხ. დანართი №1 – „საჯარო ინფორმაციის მისაღებად წარდგენილი წერილობითი განცხადების ასლი", 2 ფურცლად).

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე, და 24-ე მუხლები; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლები; და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი;

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

....

## მტკიცებითი შუამდგომლობები

*შენიშვნა-20*

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

*შენიშვნა-21*

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

*შენიშვნა-22*

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

*შენიშვნა-23*

## სხვა სახის შუამდგომლობები

*შენიშვნა-24*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

| | | | |
|---|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? | რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | | |

**სარჩელის ფასი — არაქონებრივი დავა ლარი**

*შენიშვნა-25*

**სახელმწიფო ბაჟი — 120 ლარი**

*შენიშვნა-26*

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

*შენიშვნა-27*

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

**დიახ** ☒ მტკიცებულება: იხილეთ დანართი №3, 8 ფურცლად.
**არა** ☐ რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:
**არა** ☒ რადგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გააჩნდა მოქმედი კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულება (და არა

უფლებამოსილება) გაეცა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე საჯარო ინფორმაცია. სავარაუდოა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კვლავაც არ აპირებს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, რადგან წინამდებარე სარჩელის წარმოდგენის მომენტისათვის სახეზეა სამინისტროს უმოქმედობა.

*შენიშვნა-28*

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ზეპირი მოსმენისას უნდა მოახდინოს თავისი პოზიციის დაფიქსირება, რათა განმარტებულ იქნეს მეტად თვალნათლივ ის სამართლებრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც იგი ქმედების განხორციელებას ითხოვს საჯარო დაწესებულებისგან.

*შენიშვნა-29*

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ამ დროში დამატებით იქნება ჩამოყალიბებული ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პოზიცია და მოყვანილი იქნება არგუმენტები, თუ რატომ დაირღვა მისი უფლებები.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან საკითხი იმდენად თვალნათლივაა წარმოჩენილი და იმდენად აშკარაა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კანონის დარღვევა, რომ აღნიშნული საქმის განხილვას არ დასჭირდება ერთზე მეტი სხდომა.

*შენიშვნა-30*

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☐ რადგან

*შენიშვნა-31*

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე    დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☐ რადგან

*შენიშვნა-32*

## თანდართული საბუთების ნუსხა

*შენიშვნა-33 შენიშვნა-34*

დანართი 1: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი 2014 წლის 27 იანვრის #01/14-016 წერილი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით (დანართიN#1, 2 ფურცლად);

დანართი 2: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის N#01/13298 კორესპონდენცია რომლითაც არასრულყოფილად იქნა მოწოდებული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. (დანართი #2, 10 ფურცლად);

დანართი 3: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2014 წლის 17 მარტს გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივარი. (დანართი #3, 8 ფურცლად)

დანართი 4: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის წერილი, რომლითაც ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ისნტიტუტის საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. (დანართიN#4, 10 ფურცლად)

დანართი 5: ამონაწერი მეწარმეთა და არასამწეარმეო (არაკომერიცული) იურიდიული პირების რეესტრიდან ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და გიორგი კლდიაშვილის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურების შესახებ; 2 ფურცლად;

დანართი 6: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის მიერ თათია ელიაძეზე გაცემული რწმუნებულება, რომლითაც თათია ელიაძე ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს სასამართლო განხილვის ყველა სტადიაზე წარმოადგენს (დანართი #6, 2 ფურცლად);

დანართი 7: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (1 ფურცელი).

ფურცლების საერთო რაოდენობა: 43 ფურცელი მთლიანად; მხოლოდ დანართები - 30 ფურცელი.

....

# სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი. | ☐ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☐ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☐ | ☐ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☐ | ☐ |
| 5. | მითითებულია დავის საგანი. | ☐ | ☐ |
| 6. | მითითებულია სარჩელის ფასი. | ☐ | ☐ |
| 7. | მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა. | ☐ | ☐ |
| 8. | მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა. | ☐ | ☐ |
| 9. | სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☐ | ☐ |
| 10. | სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☐ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | ☐ | ☐ |
| 12. | სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს). | ☐ | ☐ |
| 13. | სარჩელი ხელმოწერილია. | ☐ | ☐ |
| 14. | სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. | ☐ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| | | | |
|---|---|---|---|
| სარჩელი ფორმალურად გამართულია: ☐ | სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: ☐ *პუნქტების ჩამონათვალი* | *ხელმოწერა* | *სახელი და გვარი* |

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი | 17/აპრილი/2014 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი და გვარი | შე სების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.